ოქმი #20

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 28 დეკემბერი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, ო. ჩაკვეტაძე, დ. მუშკუდიანი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, გ. გოგებაშვილი, ე. საღინაძე, ზ. მეშველიანი, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე.

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: დ. ჩაკვეტაძე
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ი. ბურჯალიანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის, ფორმირებისა და ხაზინის განყოფილების უფროსი: ქ. კოპალიანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის, ფორმირებისა და ხაზინის განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნ. კოპალიანი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

   /ლ. ზალკალიანი, დ. ჩაკვეტაძე/

4. ცაგერი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ.

   /ლ. ზალკალიანი, ს. გვიშიანი/

განკარგულება:

1. ცაგერის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-25 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. კოპალიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 17 დეპუტატი/

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის, ფორმირებისა და ხაზინის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო კოპალიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთორმეტე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის განკარგულებები ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ და ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 15

წინააღმდეგი: 2 /გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილება ეფუძნება ,,სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ყოველწლიური 10%-იანი სახელფასო მატება, რომელსაც ექვემდებარება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეები და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 2 /გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, დ. ჩაკვეტაძე/

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა დავით ჩაკვეტაძემ წარმოადგინა ,,სოციალური დახმარებისა და გაცემის წესი“-ს ახალი პროექტი, ვინაიდან 2023 წლის დადგენილება ,,სოციალური დახმარებისა და გაცემის წესის შესახებ“ 31 დეკემბის შემდეგ ძალადაკარგულად ითვლება. ახალი პროექტი წარმოდგენილია გარკვეული ცვლილებებით, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე დადებითად აისახება.

აზრი გამოთქვეს: მ. კოპალიანმა, ე. საღინაძემ, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0

4. ცაგერი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, ს. გვიშიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის თანახმად ცაგერის მუნიციპალიტეტში უნდა დამტკიცდეს ,,ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების გაშენების, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემის და მათი საკონპენსაციო რგვის განხორციელების წესი და პირობები“, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მუნიციპალიტეტებში ურბანული ტერიტორიების გამწვანებისათვის ერთიანი სისტემის დანერგვას, კონკრეტული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების გარემო პირობებისა და ურბანული მდგომარეობის გათვალისწინებით მწვანე ნარგაობათა შერჩევის, დარგვისა და მოვლის პირობების განსაზღვრას.

აზრი გამოთქვეს: გ. გუგავამ, მ. ხაბულიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0

განკარგულება:

1. ცაგერის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-25 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. კოპალიანი/

აზრი გამოთქვეს: თ. ჭაბუკიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დეპუტატმა

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 17

წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი